№2507 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ოქტომბრის N1421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს მთავრობის კანცელარიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ოქტომბრის N1421 განკარგულებაში და:

1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“.

2. განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის

ადმინისტრაციამ ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციისა და აღჭურვილობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების, საქონლის ან/და მომსახურების, ასევე შესაბამისი ავეჯის/ავეჯეულობისა და ტექნიკის სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**